CAUCASIAN
WIND COMPANY
GRPC

N 013
8/05/2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს, ბ-ნ ლევან დავითაშვილს
მისამართი: მარშალ გელოვანის გამზ. N6,
თბილისი 0159, საქართველო

საბანი: განცხადება გარემოსდაცვითი
გადაწყვეტილების მიღების თაობაზე

ბ-ნო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, სს „კავკასიის ქარის კომპანიის" (ს/ნ 404519865, შემდგომში **„კომპანია"**) მიერ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზემო რენეს, სოფ. ქვემო რენეს, სოფ. იგოეთის, სოფ. მრგვალი ჭალას და სოფ. გამდლისწყაროს თემების ტერიტორიაზე დაგეგმილია კასპის ქარის ელექტროსადგურის (დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ), მშენებლობა და ექსპლუატაცია (შემდგომში **„პროექტი"**). აღნიშნულ „პროექტზე", „სს „კავკასიის ქარის კომპანიის" კასპის ქარის ელექტროსადგურის (დადგმული სიმძლავრე 54 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის, 110 კვ ეგხ-ის გაყვანის და 110 კვ ქვესადგურის განთავსების პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 29 ნოემბრის N2-1167 ბრძანებით, გაცემულია სკოპინგის დასკვნა N126 (26.11.2019 წ.), რომლის შესაბამისად „კომპანიამ" მოამზადა „პროექტის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

„პროექტზე" საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" (შემდგომში **„კოდექსი"**) გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით, „კოდექსის" მე-11 მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ წინამდებარე განცხადებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რომელსაც თან ერთვის შემდეგი დოკუმენტაცია:

1. „კოდექსის" მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებული „პროექტის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (1 ტომი), (ნაბეჭდი (1 ეგზემპლიარი) და ელექტრონული სახით);
2. „კოდექსის" მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებული „პროექტის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (2 ტომი - დანართები), (ნაბეჭდი (1 ეგზემპლიარი) და ელექტრონული სახით);
3. „პროექტის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე (ნაბეჭდი (1 ეგზემპლიარი) და ელექტრონული სახით);
4. ზემოქმედების შესაბამისობის შეფასება ზურმუხტის ტერიტორიაზე „კვერნაქი" (GE0000046);

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 7080
"11" 05 2020
+ 03 +

5. „პროექტის“ სკოპინგის ანგარიშის ცხრილი (ნაბეჭდი (1 ეგზემპლიარი) და ელექტრონული სახით);
6. „პროექტის“ ტექნიკური მახასიათებლების ცხრილი (ნაბეჭდი (1 ეგზემპლიარი) და ელექტრონული სახით);
7. „პროექტით“ გათვალისწინებული საქმიანობის ადგილის GIS კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად, ელექტრონული სახით);
8. „პროექტის“ სიტუაციური რუკა PDF ფორმატში (ელექტრონული სახით);
9. „პროექტის“ შესახებ პრეზენტაცია (ელექტრონული სახით);
10. გზშ-ის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ნაბეჭდი სახით);
11. „კომპანიის“ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (ნაბეჭდი სახით).

პატივისცემით,

ზურაბ გორდეზიანი
სს „კავკასიის ქარის კომპანიის“
გენერალური დირექტორი